

ქეთევან ლომთათიძე - 100

КЕТЕВАН ЛОМТАТИДЗЕ - 100

ՔԵՇԵՎԱՆ ԼՈՄՏԱՏԻԶԷ – 100

(1911-2007)



ქეთევან

ქეთევან ლომთათიძე - 100

აკადემიკოსი ქეთევან ლომთათიძე იყო გამოჩენილი ენათმეცნიერი, ქართველურ ენა-კილოთა, აფხაზურ-ადიღურ ენათა და თეორიული ენათმეცნიერების სპეციალისტი.

იგი დაიბადა 1909 წლის 11 თებერვალს ამჟამინდელი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში ბესარიონ ლომთათიძისა და ეკა სამსონიას ოჯახში.

1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილება. ასპირანტურაში პროფ. სიმონ ჯანაშიას ხელმძღვანელობით სწავლისას სპეციალდებოდა აფხაზურ და აბაზურ ენებში. მან ისეთ მაღალ დონეზე აითვისა ისინი, რომ შეეძლო გამოეცნო, რომელი სოფლიდან იყო მისი აფხაზი, ან აბაზა თანამოსაუბრე.

ერთხანს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტში (ელხ-ში), მონაწილეობდა ივ. ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს

რეგიონებში მოწყობილი შინამრეწველობის შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიციების მუშაობაში.

30-იანი წლების ბოლოდან ქ. ლომთათიძე მუშაობდა ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის (ენიშკი-ს) კავკასიური ენების განყოფილებაში. ამ ინსტიტუტს 1941 წელს გამოეყო, ერთი მხრივ, ენის ინსტიტუტი (შემდგომში - ენათმეცნიერების ინსტიტუტი) და, მეორე მხრივ, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტი. მეცნიერი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ამ ინსტიტუტში. 1953-1963 და 1975-1987 წლებში იყო ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, 1987-2007 წლებში კი – საპატიო დირექტორი.

1937 წლიდან 60 წლის მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების ქართველ, აფხაზ და ჩრდილოეთკავკასიულ სტუდენტებს უკითხავდა აფხაზური და აბაზური ენების სალექციო კურსებს, ხოლო 30-40-იან წლებში აფხაზური ენისა და სხვადასხვა ლინგვისტური დისციპლინის სალექციო კურსებს კითხულობდა სოხუმის სახელმწიფო ინსტიტუტშიც.

1937 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე “ძირითად დროთა წარმოებისათვის აფხაზურ ენაში”, რისთვისაც მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1945 წელს ასევე წარმატებით დაიცვა მეორე დისერტაცია თემაზე “აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი”, რისთვისაც მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. **ქ. ლომთათიძე იყო პირველი ქართველი ქალი, ვინც მოიპოვა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.**

1950 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. გამორჩეული სამეცნიერო და პედაგოგიური ღვაწლის გამო 1961 წელს მიენიჭა აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, 1962 წელს – საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1955 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს – ამავე აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად).

ქ. ლომთათიძეს ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში ქართულ, აფხაზურ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს 400-მდე¹ პირველხარისხოვანი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის 8 წიგნი), რომლებიც ეხება ქართული სამწიგნობრო ენის (ძველისა და ახლის), ქართველური დიალექტების², აფხაზური, აბაზური, ადიღეური, ყაბარდოული, უბიხური ენების სტრუქტურისა და ისტორიის კერძო თუ ზოგადლინგვისტურ პრობლემებს. ამ ნაშრომებში გამოკვლეულია დასახელებული ენების შიდა და გარე კლასიფიკაციის, მათი ნათესაობისა და დივერგენციის (დიფერენციაციის), ისტორიული ურთიერთმიმართების, ისტორიული და სინქრონიული ფონოლოგიის, კერძოდ, ბგერათშესატყვისობათა, ფონეტიკურ პროცესთა სპეციფიკის, მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა, განსაკუთრებით ზმნისა და სახელის გრამატიკულ კატეგორიათა ისტორიის, ძირითადი სინტაქსური მოვლენების, ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის, ეტიმოლოგიის, ქართულ და აფხაზურ

¹ მეცნიერის ხელით სიცოცხლის ბოლოს შედგენილ ბიბლიოგრაფიაში (გამოცა 2007 წელს) სულ 213 ნაშრომი დასახელებული, რაც მკვლევრის მოკრძალებაზე მიანიშნებს.

² სიცოცხლის ბოლო წლებში მეცნიერი მიიხრევადა, რომ არსებობს არა 3-4, არამედ ერთადერთი ქართველური ენა.

სამწიგნობრო ენათა ფუნქციონირების, მათი ნორმირებისა და სიწმინდის დაცვის საკითხები.

ქართველურ ენა-კილოთა და აფხაზურ-ადიღურ ენათა ღრმა კვლევის დროს ქ. ლომთათიძემ დაადგინა და ახსნა რამდენიმე მეტად სპეციფიკური კანონზომიერება, რომელთაც კოლეგები “**ლომთათიძის კანონები**”-ს სახელით აღნიშნავენ.

მეცნიერმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა აფხაზური და აბაზური ენების სტრუქტურისა და ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში. იგი სამართლიანად მიიჩნევა ამ ორი ენის უდიდეს მკვლევარად. არ არსებობს ამ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც მეცნიერს ღრმა გამოკვლევა თუ არა, ზოგადი მინიშნება მაინც რომ არ ჰქონდეს. ამიტომაცაა, რომ აფხაზური და აბაზური ენების სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები შედგენილია სწორედ მის სამეცნიერო დებულებებზე დაყრდნობით.

აღსანიშნავია აკად. ქ. ლომთათიძის პედაგოგიური მოღვაწეობაც. 60 წლის მანძილზე მან აღზარდა ქართველ, აფხაზ, აბაზა, ადიღელ, ყაბარდოელ, ჩეჩენ, ინგუშ, დაღესტნელ, ოს, სომეხ და აზერბაიჯანელ სტუდენტთა მთელი თაობები (მის მიერ აღზრდილ აფხაზ სტუდენტთა საერთო რაოდენობა 80-ს აღწევს. შემდგომში ბევრი მათგანი ცნობილი ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი, ლიტერატორი, მწერალი, ეთნოგრაფი, ჟურნალისტი და პედაგოგი დადგა). მისი ხელმძღვანელობით, ან კონსულტაციით დაწერილი და დაცულია მრავალი ქართველი, აფხაზი და ჩრდილოეთკავკასიელი მეცნიერის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მისგან კონსულტაციებს იღებდნენ დასავლეთევროპელი და ამერიკელი კავკასიოლოგებიც.

ამ დამსახურებათა გამო ქ. ლომთათიძე დღემდე სარგებლობს დიდი ავტორიტეტით როგორც საქართველოში, ისე მთელი კავკასიის სამეცნიერო ცენტრებში, სადაც მის სახელს სიყვარულით, პატივისცემითა და მაღლიერებით იხსენიებენ. მას ლექსებს უძღვნიდნენ აფხაზი და აბაზა პოეტები, აფხაზი სტუდენტები და ასპირანტები ჰან “**დედაჩვენი**” სახელით იხსენებდნენ ქართველ მეცნიერს, აბაზა მწერლები კი “**კავკასიის მოციქულსა**” და “**თვალმშვენიერ დას**” უწოდებდნენ. სწორედ აფხაზი ახალგაზრდობის აღზრდაში გაწეული ამაგისა და აფხაზური ენის ღრმა კვლევაში შეტანილი წვლილის აღსანიშნად მიენიჭა მეცნიერს 1984 წელს დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია.

ქ. ლომთათიძის მოღვაწეობაში აღსანიშნავია მისი ორგანიზაციული საქმიანობაც: მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა შემდეგი მნიშვნელოვანი ნაშრომები:

- სამტომეული რუსულ-ქართული ლექსიკონი (1956-1959 წწ.);
- ერთომეული რუსულ-ქართული ლექსიკონი (1983 წ.);
- სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

მეცნიერი აქტიურად მონაწილეობდა “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის” რვატომეულის (1950-1964 წწ.) შედგენასა და გამოცემაში, იყო ამ ლექსიკონის VII ტომის ერთ-ერთი რედაქტორი. ამ ლექსიკონის შედგენა-გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის ქ. ლომთათიძეს 1971 წელს სხვებთან ერთად მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ქ. ლომთათიძის რედაქტორობით გამოვიდა რამდენიმე ტომი ისეთი აღიარებული პერიოდული სამეცნიერო გამოცემებისა, როგორიცაა: “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება”, “იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადი”, “ეტიმოლოგიური ძიებანი”.

მეცნიერი მორალური პრინციპების მკაცრი დამცველი იყო და არავის აპატიებდა უზნეობას. აღსანიშნავია, რომ მას შეეძლო საკუთარი შეცდომის აღიარებაც. მაგალითად, სიცოცხლის ბოლოს თავისი ხელით შედგენილ ბიბლიოგრაფიაში მან რამდენიმე საკუთარ ნაშრომს დაურთო შენიშვნა, ამ პუბლიკაციაში გამოთქმული ზოგი მოსაზრება სადავოაო.

აკად. ქ. ლომთათიძე გარდაიცვალა 2007 წლის 22 სექტემბერს 96 წლისა.

КЕТЕВАН ЛОМТАТИДЗЕ - 100

Академик Кетеван Виссарионовна Ломтатидзе была выдающимся лингвистом-кавказоведом, исследователем грузинского и абхазско-адыгских языков, а также специалистом общего (теоретического) языкознания.

К.В. Ломтатидзе родилась 9 февраля 1911 года в с. Хидистави нынешнего Чохатаурского р-на Грузии в семье Виссариона Ломтатидзе и Екатерины Самсониа.

В 1931 году К.В. Ломтатидзе окончила лингвистическое отделение филологического факультета Тбилисского государственного университета. В годы учебы в аспирантуру под руководством проф. С.Н. Джанашиа специализировалась по абхазскому и абазинскому языкам. Она настолько глубоко изучила эти языки, что могла по речевым особенностям угадать жителями какого абхазского или абазинского села являлись ее абхазские и абазинские собеседники.

После окончания учебы К.Л. Ломтатидзе работала в Государственном музее Грузии и в Институте языка, литературы и искусства, участвовала в работе научных экспедиций, организованных по инициативе И. А. Джавахишвили в различных регионах Грузии для описания и собирания материалов домашнего ремесла. С конца 30-х годов К.В. Ломтатидзе работала в отделе кавказских языков Института языка, материальной культуры и истории (ИЯИМК), который в 1941 г. разделился и на его основе были образованы Институт языка Академии наук Грузии (впоследствии - Институт языкознания) и Институт истории, этнографии и археологии. К.В. Ломтатидзе была директором этого института в 1953-1963 и 1975-1987 годах, а с 1987 г. являлась почетным директором его.

В 1937 г. ученый успешно защитила диссертацию «К образованию основных времен в абхазском языке», за что ей присвоили ученую степень кандидата филологических наук, а в 1945 г. после защиты диссертации «Тапантский диалект абхазского языка» ей присуждается научная степень доктора филологических наук. **К.В. Ломтатидзе являлась первой грузинской женщиной - доктором наук.**

В 1950 г. ученому присуждается звание профессора. За выдающиеся научные и педагогические успехи в 1961 г. она становится Заслуженным деятелем науки Абхазии, а в 1962 г. - Заслуженным деятелем науки Грузии. В 1984 г. ей была присуждена Государственная премия Абхазии им. Дмитрия Гулиа.

В 1955 г. К.В. Ломтатидзе была избрана членом-корреспондентом Академии Наук Грузии, а в 1979 г. ее избирают действительным членом (академиком) той же Академии.

В течение долгой научной деятельности ученым на грузинском, абхазском, русском, английском и немецком языках опубликованы около 400 первостепенных научных работ (в том числе 8 книг), в которых анализируются частные или общелингвистические проблемы грузинского письменного (как древнего, так и

современного) языка, картвельских диалектов³, абхазского, абазинского, адыгейского, кабардинского и ныне уже мертвого убыхского языков. В этих исследованиях на высоком академическом уровне рассмотрены вопросы внутренней и внешней классификации названных языков, их генетических отношений, их дивергенции, исторической и синхронной фонологии (в частности - звуковых соответствий), специфики фонетических процессов, истории грамматических категорий различных частей речи, особенно имен и глаголов, основных синтаксических явлений, лексикологии и лексикографии, этимологии, функционирования грузинского и абхазского письменных языков, их нормирования и защиты чистоты и т.д.

При глубоком анализе грузинского и родственных с ним абхазско-адыгских языков К.В. Ломтатидзе установила несколько специфических закономерностей, которые ныне известны как «**Законы Ломтатидзе**».

Особый вклад внесла К.В. Ломтатидзе в дело научного исследования структуры и истории абхазского и абазинского языков. **Она справедливо считается величайшим исследователем этих двух языков.** Почти нет такого вопроса структуры и истории названных языков, о которых К.В. Ломтатидзе не высказала свое мнение. Поэтому школьные и университетские учебники абхазского и абазинского языков написаны и ныне пишутся на основе научных работ грузинского ученого.

Следует особо отметить и о педагогической деятельности К.В. Ломтатидзе. Преподавая на отделении кавказских языков филологического факультета Тбилисского государственного университета в течение 60 лет, она воспитала целые поколения грузинских, абхазских, абазинских адыгейских, кабардинских, чеченских, ингушских, дагестанских, осетинских, армянских и азербайджанских студентов. Например, общее количество абхазских студентов, воспитанных ей, достигает 80 человек, большинство которых впоследствии стали известными лингвистами, фолклористами, литераторами, этнографами, писателями, журналистами, преподавателями...

Под ее руководством или на основе ее консультаций написаны и защищены кандидатские и докторские диссертации. Она консультировала и западноевропейских и американских кавказоведов.

Благодаря этим заслугам, К.В. Ломтатидзе даже после смерти пользуется большим авторитетом не только в Грузии, но и во всех научных центрах остального Кавказа, где к ее имени относятся с любовью, уважением и благодарностью. Еще при жизни ей посвящали свои стихи поэты, абхазские студенты и аспиранты ее упоминали словом Хан «**наша мать**», а абазинские писатели именовали «**пророком Кавказа**» и «**прекрасной сестрой**».

К.В. Ломтатидзе являясь прекрасным организатором науки. Под ее руководством были составлены и изданы следующие важные издания:

- трехтомный русско-грузинский словарь (1956-1959 гг);
- однотомный русско-грузинский словарь (1983 г.);
- терминологические словари различных отраслей.

Ученый активно участвовала в создании и издании восьмитомного «Толкового словаря грузинского языка» (1950-1964 гг.), являлась одним из редакторов 7-го тома названного словаря. За эти заслуги ей вместе с другими учеными в 1971 г. была присуждена государственная премия Грузии.

Под редакцией К.В. Ломтатидзе вышли в свет несколько томов таких авторитетных научных периодических изданий, каковы: «Иберийско-кавказское языкознание», «Ежегодник иберийско-кавказского языкознания», «Этимологические разыскания».

³ В последние годы жизни ученый считала, что существует не 3-4 картвельских языка, а один язык.

К.В. Ломтатидзе строго защищала моральные принципы и научную этику, не давая никому возможность проявить безнравственность. Следует отметить и то, что она могла признавать свои ошибки. Например, в библиографии своих научных работ, составленной собственноручно в конце жизни, читатель найдет несколько примечаний, сделанных к некоторым работам, в которых автор пишет, что в этих трудах те или иные положения являются спорными. Эти случаи говорят сами за себя.

Скончалась К.В. Ломтатидзе 22 сентября 2007 г. в возрасте 96 лет.